268 № დეკემბერი 16, კვირა 1890 დეკემბერი 16, კვირა № 268

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
40 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაყვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის მეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

გამგეობა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ სთხოვს პატივისცემელთ განსვენებულის კნ. ელენე დიმიტრის ასულის ლორთქიფანიძისას მობრძანდნენ კვირას, 16 დეკემბერს, დილის 12 საათზე, ქაშვეთის ეკკლესიაში, სადაც გარდახდილ იქმნება პანაშვიდი გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად. (2—2)

სახალხო თეატრი

ოლგას ქუჩაზედ, სამგზავრო ფოსტის გვერდით, მებურნუთოვის მამულში.

კვირას, 16 დეკემბერს,

ქართულ დრამატიულ დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

„ამაზაკნი“

ტრაგედია 5 მოქმ. თხზ. ანტონ ფურცელაძისა

II

მოჩვენება

ვოდევილი 1 მოქმ. დ. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. დიდებულიძისა, იოსელიანისა, მძინაროვისა, ციციშვილისა; ბბ. აწყურელი, ნებიერიძე, გამყრელიძე, ადამიძე, კოპაძე, მჭედლიშვილი, გულისაშვილი, კონდოლელი, ჩელიძე და სხვ.

ადგილების ფასი პარტერში: 1 რიგი 1 მ. 50 კ., მეორე—1 მან. 20 კაპ., მე-3, 4, 5, 6, 7, 8—1 მან., მე-9, 10, 11—75 კ., მე-12, 13, 14—50 კ., მე-15, 16, 17—40 კ. დანარჩენნი 30 კ. გალერეია: 1, 2, 3, 4, 5, 6 რიგები—20 კ., 7, 8, რიგი 15 კ. დანარჩენები—10 კ.

დასაწყისი 8 საათზედ

გამგე და რეჟისორი ა. ნებიერიძე.

ქართული თეატრი

სამშაბათს, 18 დეკემბერს,

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

პატარა კახი

ისტორიული დრამა 5 მოქ. ლექსად.

თხზ. აკაკი წერეთლისა.

კახის როლს ითამაშებს

ბ-ნი ხუციშვილი.

მოთამაშენი: ქქ-ნი ავალიშვილისა, ტატიშვილისა, ტარიელოვისა; ბ ნნი აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათიროვი და სხვ.

იხატება ახალი დეკორაციები. ტანთსაცმელი ახალი.

დასაწყისი 8 საათზე

ანონსი: მზადდება ახალი პიესები: „დამარცხებულნი“—პ. უმიკაშვილისა და „ბორკილი“—ა. სუმბათაშვილისა.

ახალი ამბავი

*** კნ. ელენე დიმიტრის ასულის ლორთქიფანიძის უდროოდ გარდაცვალების ამბავს, როგორც მოსალოდნელიც იყო, დიდად შეუწუხებია ქართველობა ყველგან ჩვენს ქვეყანაში და მის გარეშეც. თითქმის ყოველ-დღე მოგვდიოდა და დღესაც მოგვდის ამბავი ამ მწუხარებისა და გლოვისა დაბა და სოფლებიდამ და საქართველოს სხვა და სხვა ქალაქიდამ გვწერენ, რომ განსვენებულის დაკარგვამ მეტად დაგვალონა და გული დაგვწყვიტა ყველას, ვინც ან პირად ვიცნობდით განათლებულს და გულ-კეთილს კნ. ელენეს, ან გაგვეგონა მისის ნაყოფიერის მოღვაწეობის ამბავი ჩვენის ქვეყნის სასარგებლოდაო. გულ-გატეხილნი და გულსევდა შემოწოლილნი, რომ სიკვდილმა ასე გაგვიმეტა წელს და ორისა და სამის გამოკლებას არ დაგვაჯერა, მივეშურებოდით ეკკლესიაში და იქ, ვიხდიდით რა პანაშვიდს მიცვალებულის სულის მოსახსენებლად, მხოლოდ იმითი-ღა ვნუგეშობდით, რომ გარდაცვალებულის ზნე-მაღალისა და კეთილის ადამიანის ხან-მოკლე სიცოცხლემ ფუჭად არ ჩაიარა, განათლებული კვალი დასტოვა, დიდად დაგვანანა თავი და ხსოვნა თვისი გულს ღრმად ჩაუბეჭდა ყველას, ვისაც-კი ძვირად უღირს თვისი ქვეყანა და მის წარმატება-ბედნიერებისათვის მშრომელი და მოწალმართეა. ასეთი წერილები მივიღეთ, მაგალითად, სხვა და სხვა რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქების ქართველ სტუდენტობათაგან, ყარსის ქართველობისაგან, ცხინვალიდამ, ახალციხიდამ, სოფ. კეხისჯვრიდამ თთ. ციციანთაგან და ბევრ სხვა სოფლებიდამ და ქალაქებიდამაც. სამწუხაროდ ყველა ამ წერილების დაბეჭდვა ვერ მოვახერხეთ სიტყვა-სიტყვით, რადგან დიდს ალაგსაც დაიჭერდა გაზეთში და შინაარსითაც თითქმის სულ ერთ-ნაირები იყო. ამიტომ საჭიროდ დავინახეთ, მათი ამბავი მხოლოდ ასე საზოგადოდ მოგვეხსენებინა.

*** ხუთშაბათს, 13 დეკემბერს, იყო ქართულ დრამატიულ საზოგადოების მმართველობის კრება, რომელზედაც გადაწყვეტილ იქმნა ბალის გამართვა, საზოგადოების სასარგებლოდ, ყველიერის ოთხშაბათს. ბალის გამგედ იქმნება კნ. ელენე მიხეილის ასული ანდრონიკაშვილისა.

ამავე კრებაზე მმართველობამ გადასწყვიტა სამუდამო სათეატრო დასი დაარსოს მერმის ენკენისთვიდამ და ეხლავე შეუდგეს პიესების მომზადებას მომავალის სეზონისათვის.

ხუთშაბათს, 20 დეკემბერს, განხილული იქმნება მმართველობისაგან ახლად მის მიერ მიღებული პიესები სხვა-და-სხვა ავტორებისა. ამ კრებაზე, რომელიც მოხდება მმართველობის თავმჯდომარის სადგომში, შეუძლიანთ დაესწრნენ მმართველობის წევრთ გარდა, საზოგადოების სხვა წევრთაც. კრება დაიწყება საღამოს 7 საათზე.

*** ამას წინად ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა ცირკულიარი გამოსცა, რომ რკინის გზაზე მოსამსახურე მოხელეებმა უთუოდ უნდა

ფელეტონი

ახალის დრამების გამო.

ამ სეზონში ჩვენს ქართულს თეატრს თითქო კარგი ამინდი დაუდგა. საკმაოდ შესანიშნავი ამბავია, რომ ჩვენმა ღარიბმა სცენამ რამდენიმე ახალი პიესა მოიპოვა და ჩვენმა სათეატრო დასმა ეს ახალი პიესები ითამაშა. ამ ახლებში სხვათა შორის ორმა დრამამ მიიზიდა უფრო მეტი ყურადღება და არ ითქმის, რომ საზოგადოებას ამ დრამების ნახვა და მოსმენა სასიამოვნოდ არ დარჩენოდეს. ერთი დრამა „მტარვალია“ და მეორე „ქართვლის დედა“, 9-ს დეკემბერს წარმოდგენილი ჩვენის ნიჭიერ არტისტის-ქალის ბ-ნ გაბუნია ცაგარლის საბენეფისოდ.

ორივე ზემო დასახელებული დრამა ისტორიულია. ხოლო იმ საბუთით კი არა, რომ თვალ-წინ გაგვიტაროს ან ისტორიული კაცი ვინმე თავის ავ-კარგიანობითა, ან თვითონ ცხოვრება, კერძო თუ საზოგადოებური, რომელისამე წარსულის დროსი და ეპოქისა, გვაჩვენოს რა აზრი, რა გულის-ტკივილი, რა სწრაფვა სულისა, რა გონება-გახსნილობა, რა ზნე-ჩვეულება ხელთ ჰქონია მაშინდელობას კერძო ცხოვრების თუ საზოგადოებურის ასე თუ ისე წასამართავად. არც „მტარვალი“, არც „ქართვლის დედა“, არც ერთი იმისთანას სახეს ადამიანისას, თუ ცხოვრებისას არ გვიხატავს, რომ მნახველმა სთქვას: აი იმ დროს რა შესძლებია, რა კაცები შეუქმნია, რა ავკარგიანობა, მეტ-ნაკლებობა ჰქონია; აი მაშინდელი კაცი რა აზრით, რა ფიქრით, რა გრძნობით, რა ძლიერებით თუ უძლურებით შეჰბმია თავის საკუთარს თუ საქვეყნო საქმეს და რა ზნე-ჩვეულებას უტარებია დროთა ვითარების გზაზე.

ვიმეორებთ, არც ერთს ხსენებულ დრამაში ამას ვერა ვხედავთ და უამისოდ ერთიც და მეორეც წარმოგვიდგენს მარტო წარსულს ამბავს, ავტორისაგან მოგონილს და მასზე აშენებულს ადამიანთა ერთმანეთზე ისეთს დამოკიდებულებას, რომელიც ყოველს დროს და ჟამს, ყოველს ეპოქას ერთნაირად მიეჩემება. აქ ისტორიული მარტო ის არის რომ ავტორები გვეუბნებიან: საქართველოს თავს წამოსდგომია მტერი და ყველგან მუსრს ავლებსო. ეს მტრისაგან ქლეტა მუსრვა დღეს ჩვენთვის კარგა ხნის წარსულია და ის დრამები ამ-თ თუ არიან ისტორიულნი, თორემ სხვა თვისება მართლა-ისტორიულისა, ჩვენის ფიქრით, არ მოეპოვება არც ერთს მათგანს.

ჩვენ წუნად არა ვსდებთ ავტორებს, რომ დრამის ამბავი, არაკი (фабула) მოგონილია მათ მიერ. დრამატურგი ისტორიკოსი ხომ არ არის, რომ ისტორია გვასწავლოს, ისტორიული ქრონიკა გვიწეროს. დეე თუნდ ამბავი, არაკი დრამისა თავის საკუთარის ფანტაზიით შექმნას, ხოლო თუ ჰსურს ისტორიული ღირსება მიანიჭოს თავის დრამას, უსათუოდ მოვალეა სული და გული ეპოქისა იმ ამბავში ჩანასკვოს, ჩაჰსახოს და დრამის სვლაში გადაგვიხსნას, გადაგვიშალოს საგრძნობელად და დასანახავად.

ამისთანა დრამის დამწერს წინ უნდა უძღოდეს დიდი ცოდნა ისტორიისა, დიდი გონება-გახსნილობა, დიდი განათლება ღვთივ მიმადლებულ ნიჭის გარდა და, ჩვენის ფიქრით, ამაოდ ირჯებიან ისინი, ვინც ამისთანა დრამის დაწერას მოუმზადებლად და, მაშასადამე, კადნიერად ეტანებიან. ერთობ დრამის შექმნა დიდად ძნელი რამ არის, იმიტომ რომ დრამა სულისა და გულის ცხოვრებაა, სულისა და გულის დიდს ძირაზეა ახაგებელი და ასაშენებელი. მეტის-მეტი მჭრელი, მეტის-მეტი მხილავი ნიჭი უნდა, მეტის-მეტი ნათელი გონება, რომ კაცი მისწვდეს, შუქი რა მიჰფინოს იმ საოცარს, იმ უცნაურს საიდუმლოებას, რომელსაც ადამიანის სულისა და გულის ძირა ჰქვიან და რომელიც იმოდენად უფრო დიდ საიდუმლოებად გვეელინება, რამოდენადაც უფრო ახლო მივუვალთ. ამიტომაც დრამის შექმნა ყველა სხვა გვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია და ყველა მწერალი—თუნდ ნიჭიერიც—ვერა ჰბედავს ხელი შეჰმართოს.

ჩვენში ეს საქმე მეტად ადვილად არის მიჩნეული. ოღონდ თხზულება მონოლოგებით და დიალოგებით იყოს დაწერილი, სცენებად და მოქმედებად დაყოფილი, შიგ ორიოდე ალაგას ქალისა თუ კაცის სიკვდილიც ჩაკერებულ იქმნას და ავტორს არ უჭირდება ზედ დააწეროს „დრამა არისო“ და ამ სახელით მოედანზე გამოიტანოს. ის-კი ავიწყდებათ, რომ გარეგანი სახე დრამისა ვერა დროს ვერ დაჰფარავს შინაგანის ცალიერობას, ფუქსავატობას, არა რაობას. აკი ვამბობთ, დრამა უსათუოდ სულისა და გულის უდიდეს ძირაზე უნდა იყოს აგებული და აშენებული და ეს უდიდესი ძირა სულისა და გულისა ერთად-ერთი საგანია დრამისა, ერთად-ერთი ბუნებაა მისი. ამით იცნობება იგი დრამად. სხვა საწყაო არა აქვს და არც სხვა მიზეზი არსებობისა. სასურველია, ამ აუცილებელს მოთხოვნილებას დრამისას დაუკვირდნენ ისინი, ვისაც დრამის დაწერა ჰსურს და ამ მოთხოვნილებას შეუწონონ თავიანთი ძალ-ღონე, ვიდრე ხელში კალამს აიღებენ.

ამ მხრით რომ შევხედოთ, ამ მხრით რომ თვალი გავუბნიოთ ხსენებულ დრამებს,—რა თქმა უნდა—ვერც ერთი თავს ვერ გაიმართლებს, ვერც ერთი ვერ შეირჩენს ამაოდ დარქმებულ დრამის სახელსა. ორსავ საკნადა აქვს მამულის-შვილობა და ვაჟკაცობა ქართველებისა და არც ერთს ეს მამულიშვილობა და ვაჟკაცობა სადრამო განსაცდელში არ ჩაუგდია, რომ გრძნობათა ჭიდილმა გვაჩვენოს რა ქარ-ტეხილში ჩავარდნილა ამ გრძნობათა მქონებელი კაცი, არ წავა-დაგვა გამოუვლია და ამ განსაცდელიან ქარ-ტეხილიდამ როგორ გაუტანია თავი გამარჯვებულ გრძნობას. არც ერთს დრამაში სული და გული ადამიანისა თავისით არა მოქმედობს, თვისდა ბუნებისამებრ არ იშლება, არ იხსნება მოქმედებაში. თვითონ ავტორები მოქმედთა პირით გვეუბნებიან ეს ასეა, ეს ისეო მაშინ, როდესაც ამავბს ჩვენ თვითონ უნდა ვხედავდეთ, ჩვენ თვითონ უნდა ვგრძნობულობდეთ საქმითა და არა ავტორების სიტყვითა. კაცი, თუ ქალი თავიანთ ავ-კარგიანობას თვითონვე მოგვითხრობენ—მე ასეთი და ისეთი ვარო და თავიანთ ასეთ ისეთობას ან სულ არ გვაჩვენებენ საქმითა, ან ძალიან იშვიათად, ისიც მეტის-მეტად მკრთლად და გაკვრით, თითქო დრამისათვის ამისთანები მეტი ბარგი იყოს.

ეს ამისთანა ქცევა მოქმედთა პირთა, მათ მიერ ბაქიაობას უფრო ჰგავს, ვიდრე ხასიათების გამოხსნას და გამოშლას და ისე უამურად და საწყენად მოქმედობს მაყურებელზე, როგორც ცუდ-უბრალო კვეხნა, თავისთავის ქება და წინ დაუხედავი ფართი-ფურთობა ქარაფშუტა კაცისა. ჭეშმარიტი, მართალი გრძნობა ყვედი როდია, პირიქით იმოდენად თავდაჭერილია, იმოდენად სიტყვა ძვირია, რამოდენადაც უფრო ძლიერია და—თუ გნებავთ—ამ სიტყვა-ძვირობაშია იმისი მიმზიდველი ღირსებაც, იმისი გულ-საწვდენი ზედ-მოქმედებაც მაყურებელზე. არც ერთს ავტორს

წარმოადგინონ პოლიციიდგან პასპორტები, თუმცა ბევრს მათგანს, პასპორტების მაგიერ წარდგენილი აქვთ რკინის გზის სამმართველოში წლოვანობის ქაღალდი, თავად-აზნაურობის სიგელები და იმ სასწავლებელთა მოწმობა, სადაც უსწავლიათ. ამ ცირკულიარის გამო რკინის გზაზე მოსამსახურეებმა თხოვნა მიართვეს ბ-ნ ტფილისის პოლიციის უფროსს რომ პასპორტები მოგვეცითო. ტფილისის პოლიცმეისტერმა გუშინ მისწერა ამიერ-კავკასიის რკინის გზის ჟანდარმების უფროსს, რომ პასპორტების წესდების მე-58 მუხლის ძალით, თავად-აზნაურობის სიგელები, ატესტატები სამსახურისა და სხვა ამ გვარი მოწმობანი პასპორტის ალაგს იჭერს და ამიტომ ჩემის კანცელიარიიდგან ამას შემდეგ აღარც ერთ რკინის გზის მსახურს, რომელთაც ამ გვარი დოკუმენტები აქვთ, პასპორტები აღარ მიეცემათო.

⁂ საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილი“-ს იანვრის წიგნში, რომელიც უკვე იბეჭდება ამ ჟამად და საახალწლოდ დაურიგდება ხელის-მომწერთ, მოთავსებულია სხვათა შორის მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა: „ოჯახის ბურჯი“, ლექსი აკაკი წერეთლისა: „მამალი და ძაღლი“. ვაჟა-ფშაველას საახალწლო ზღაპარი: „მელია—კუდა გრძელია“ და სხვ.

⁂ გორიდგან მივიღეთ ი. დავითაშვილის ძეგლის ფონდის სასარგებლოდ ერთი თუმანი, გამოგზავნილი განსვენებულის დის ელისაბედის მიერ. ამ ფონდისა აქამდე იყო 116 მან. 10 კაპ. ამიანად იქნება 126 მან. 10 კ.

⁂ აგერ მეოთხე, თუ მეხუთე წერილი მოგვდის სხვა-და-სხვათაგან რკინის-გზის ერთ-ერთ სადგურიდამ იმის შესახებ, რომ ამ სადგურის ბუფეტის პატრონმა შეაგროვა ჩვენ შორის განსვენებულის დ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ ოთხ ხუთ თუმნამდე ფული რამდენიმე თთვეა და დღემდე ამ ფულს არ ჰგზავნის დანიშნულებისამებრო. ვეუბნევით, ვსთხოვეთ, რომ გაჰგზავნოს, რაც მოგროვილა, რადგან უკვე მოგროვილს აღარა ემატება-რაო და მით მოსპოს სხვა-და-სხვა არა სასიამოვნო ხმა და მითქმა-მოთქმა, მაგრამ მაინც არა გვეშველა-რაო. სუ გვათათბირებს, გავგზავნი, გავგზავნიო და არ იქნა, პირჯვარი-კი მაინც ვერ დავაწერინეთო. ამ ვაჭბატონისგან მოგვივიდა ჩვენ წერილი და თავის გასამართლებლად გვწერდა, რომ, რა ვქნა, ვისაც ხელი აქვს მოწერილი, ყველას არ წარმოუდგენიაო და აბა როგორ გამოვგზავნოვო. ცხადია, რომ ეს მოსაზრება ბუფეტის პატრონისა ვერაფერი თავის გამართლებაა და იმას უფრო ჰგავს: მიზეზ-მიზეზ—დოს მარილი აკლიაო, ჩემი ნებაა და სხვისი ფული ჩემს ჯიბეში უნდა იყოსო.

⁂ დღეს, ამ თთვის 16, ნაშუადღევის პირველ საათზე, ტფილისის კლასსიკურ პროგიმნაზიაში დანიშნულია წლიური აქტი.

⁂ წინანდალის სახელმწიფო მამულების გამგე მის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარის კამერ-იუნკერი პავლე კარლის ძე ბაგაუტი გუშინ წინ ტფილისში ჩამოვიდა.

⁂ ამ დღეებში, როგორც ჩვენ შევიტყვეთ, დანიშნულ იქნება სხდომა ახალის ფარმცევტთა საზოგადოებისა. ამ სხდომაზე წაიკითხავენ რეფერატს იმის შესახებ, თუ რა სახისაა ჭლექის ბაცილა და რა გვარად სპობს პროფესორ კოხის მიერ გამოგონილი საშუალება.

⁂ ტფილისის სასწავლებელში ამ ჟამად, ყვავილის გამო, ხელახლად უცრიან ყვავილს იმ მოწაფეთ, რომელთა პირველ აცრას შემდეგაც 7 წელიწადს გაუვლია.

⁂ გუშინ, ამ თთვის 15, ბაქოდგან მომავალი საფოსტო და სახალხო მატარებელი ტფილისში დაგვიანდა 8 საათით 48 წუთ. იმ მიზეზით, რომ რკინის გზის ლიანდაგს რამდენსამე ალაგას შეკეთება დასჭირდა და ამას გარდა დიდი თოვლი დაუდვია რკინის გზის ლიანდაგზე. ამას გარდა სადგურ „ხვალინსკაიაში“ გუშინ-წინ დილით დამსხვრეულა საქონლის მატარებელი № 36, რომელიც მოდენილა ბაქოდგან. დაიმსხვრა სულ 18 ვაგონი და ორთქლ-მავალი.

⁂ **ბორჯომი**: აქაურ სამკურნალოდამ ერთი ანთებით ავადმყოფი, რომელიც დიდიხანი არ არის, რაც მოიყვანეს, ამ დღეებში გადაპარულა ჩუმად ფანჯრიდამ მოსამსახურების შეუმჩნევლად და გაზღვომია უგზო-უკვლოდ თავ-შიშველა, ფეხ-შიშველა და პერანგა შარა გზას. მაშინვე შეიტყვეს უფროსებმა სამკურნალოსამ და გამოუცხადეს ადგილობრივს ბოქაულს. ბოქაულმა აფრინა ჩაფრები ზევით და ქვევით, მაგრამ ვერ იპოვეს. ავადმყოფი შებრუნებულა ერთ სოფელში, რომელიც რამდენისამე ვერსის მანძილზეა ბორჯომიდამ. მეორე დღეს მამასახლისმა ჩამოიყვანა ავადმყოფი ბორჯომში. პატრონებმა შეიტყვეს ეს გარემოება და მაშინვე შინ წაიყვანეს, ჩვენს ავადმყოფს, ავად იქნება თუ კარგად ისევ ჩვენ მოვუვლითო. ავადმყოფი მუშა კაცი იყო და მუშაობდა აქაურ არაყის სახდელ ქარხანაში.

⁂ 14 ამ თვისას პოლიციის პირველს ნაწილში ტფილისის მცხოვრებელმა ხასან ტრიგულოვმა გამოაცხადა, რომ 12 და 13 ამ თვისას ეზოდამ მომპარეს ორი პოვოსკის თვალი, ქურდობა დააბრალა პატარა თიონეთის მცხოვრებელს თედო დიმიტრაშვილს, რომელიც პოლიციელის ხელავის განკარგულებით შეიპყრეს სოფ. აგურის საყდარს.

◆◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ჩოხატაური (ოზურგეთის მაზრა). ამ ოთხისა, თუ ხუთის წლის განმავლობაში აქ ბევრი რამ მოხდა მკვიდრთა საგლოვი და სავალალო, მაგრამ ისეთი-კი არც ერთხელ არა მომხდარა-რა, როგორიც ამ დღეებში მოხდა. ხანგრძლივს ავადმყოფობას შემდეგ გარდაგვეცვალა აქაური მომრიგებელი მოსამართლე ბ-ნი ნიკოლოოზ ივანეს ძე ზავადოვსკი, უზომოდ თავმდაბალი, პატიოსანი, გულკეთილი და მართლ-მსაჯული ადამიანი, რომელმაც აქ სულ წელიწადი და სამი თთვე გაატარა, მაგრამ ისე შეაყვარა თავი საზოგადოებას, რომ სულ იმ ნეტარხსენებულის ქება-დიდებაში იყო. მისთვის ერთი იყო თავადი, აზნაური და გლეხი: ყველას თანასწორ პატივსა სცემდა და ყველას თანასწორად ასამართლებდა; მტყუანს მოურიდებლად ამტყუნებდა და მართალს სიმართლეს არასოდეს არ უკარგავდა, რაიც საზოგადოდ იშვიათია და სანთელ-სანათით საძებნელი. თუმცა ასე იქცეოდა, მაგრამ გამტყუნებულიც ისევე ემადლიერებოდა, როგორც გამართლებული... განსვენებულს დიდის ხნის ავადმყოფობა ჰქონდა ჯანში დაბუდებული, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა; იმასაც ისევე მხნედ ებრძოდა, როგორადაც სოფლის წყვდიადსა და ჭირ-ბოროტებას. ბოლოს ველარ გაუძლო საშინელს ჭირს. ამ ერთის თთვის წინად საუკუნოდ ჩავარდა ლოგინად, და 7 ქრისტეშობისთვეს უწყალო სიკვდილმა წუთისოფელს გამოასალმა. მისი უკანასკნელი სიტყვები ეს იყო: „მართალია, მე ვერ მოვესწარ კოხის წამალს, მაგრამ ემადლობ ღმერთს, რომ სხვანი მაინც თავს დააღწევენ ჩემებრ გამოუთქმელს ტანჯვასაო!..“ კვირას, 9 ქრისტეშობისთვეს, დილის 9 საათზედ მიცვალებულის გვამი გამოასვენეს თ. დავით გ—ძის ერისთავის სახლიდგან და წაასვენეს ს. ფარცხმის წმინდა დიმიტრის ეკკლესიაში, სადაც მიცვალებულს უწირეს და ანდერძი აუგეს. საზოგადოება ბლომად დაესწრო, რითაც პატივის ცემა და სიყვარული დაუმტკიცა მიცვალებულსა და მის ჭირისუფალს. ადგილობრივს თავად-აზნაურ-გლეხთ გარდა, ბევრი დაესწრო აგრეთვე შორიახლო სოფლებიდამ. წესის აგების წინად ადგილობრივმა მღვდელმა, მამა ბესარიონ მეგრელიშვილმა წარმოსთქვა ვრცელი გრძნობა-მწუხარებით სავსე სიტყვა და წესის აგებას შემდეგ ჩოხატაურის მასწავლებელმა გ. ბოკერიამ წარმოსთქვა შემდეგი:

„პატივცემულო მსაჯულო, ნიკოლოოზ ივანეს ძევ!..

დღეს ის სამწუხარო დღე არის ჩვენთვის, როს უკანასკნელად ვხედავთ ჩვენს ძვირფას სტუმარს, და რამდენსამე წამს შემდეგ საუკუნოდ უნდა გამოგვესალმო; უნდა გამოესალმო აგრევე შენს საყვარელს ამწვანებულს მთებსა და ტურფად შემკობილს უცხო ბუნებას, რომელიც ანდამატივით იზიდავდა შენს გულს და ნიადაგ აღტაცებაში მოჰყავდი!.. მაგრამ, დარწმუნდი, შენი ხსოვნა დიდხანს გასტანს ჩვენს გულში, რადგან, რაოდენადაც თვალ-წინ გვეხატვის შენი პატიოსანი შრომა, რაოდენადაც ვუკვირდებით შენს გაცივებულს ცხედარსა და ვუ-

---

ზემოხსენებულ დრამებისას ამ მხრით არა აქვს მიქცეული საკმაო ყურადღება და მათ მიერ სცენაზე გამოყვანილი კაცი, თუ ქალი შუბლზე მიკრულ ბილეთებით გამოდიან—აი ეს ამისთანა კაცია და ეს ამისთანაო. ავტორის მოწმობა შესაძლოა ამ შემთხვევაში ვინმემ იწამოს, ხოლო ამისთანა მოწმობა და დრამა ერთმანეთზე მეტად შორი-შორია, შუა დიდი ზღვარი უდევთ და ერთმანეთში გარევა ამაებისა გაუწურთვნელ გრძნობას თუ ეპატიება და შეენდობა, თორემ სხვას არა რას.

გარდა იმისა რომ ამ ორსავე დრამას ერთი და იგივე საგანი აქვთ—მამულის-შვილობა და ვაჟ-კაცობა ქართველებისა—სხვა ყველაფერშიაც საოცარს მსგავსებას წარმოადგენენ, თუმცა შიგა და შიგ ცოტაოდნად განსხვავებულია. „მტარვალშიაც“ და „ქართვლის დედაშიაც“ მამულის-შვილობის და ვაჟ-კაცობის მომასწავებელნი შვილები არიან და შვილების ქვეყნისათვის გამწირავნი მათი მშობლები. განსხვავება მარტო იმაშია, რომ ერთში მამა იმეტებს ქვეყნისათვის შვილებს და მეორეში დედა. ორსავეში დრამის ნახევად, ანუ, უკედ ვსთქვათ, მცირეოდენი ცდა ავტორებისა დრამის ნასკვის გამოსანასკვად ერთი და იგივე ქსელია გაბმული, სახელდობრ, სიყვარული, რომელსაც ერთი მამულის-შვილთაგანი ჰგრძნობს მტრის ქალის მიმართ და მტრის ქალი მამულის შვილის მიმართ. განსხვავება იმაშია, რომ ერთგან ქალი, ერთ დროს ქართველად ყოფილი, შვილად აყვანილია და გაზდილი, თუმცა მერე საცოლოდაც ნიშანში ამოღებული გამზრდელისაგან და მეორეში-კი ღვიძლი შვილია. ორსავე დრამაში—რა თქმა უნდა—მტერნი კაცის მჭამელები არიან, ქართველების სისხლის მსმელნი, ყოველს ადამიანობაზე ხელაღებულნი და ქართველები-კი ყოვლის ადამიანობით სრულნი.

ეს ყოვლად მხეცობა მტრისა, ყოვლადვე სისრულე და სავსება ქართველებისა ბაშვური წადილია კაცმა თავი მოაწონოს მაყურებელსა. ბუნება ადამიანისა—ქართველია, თუ გარმიანელია—ავ-კარგიანობით არის სავსე და ქვეყანაზე არ არის იმისთანა ერი, რომ მიწყული ჰქონდეს ან მარტო კარგი, ან მარტო ავი. ავი და კარგი ყველგან არის და ვისაც ეს ავიწყდება, ის დიდ მანძილს ვერ გაირბენს მწერლობაში. თუნდ ეგეც არ იყოს, თვითონ ცალკე, თვითეულ ადამიანის ბუნების ავ-კარგიანობაშია იგი მოძრაობა სულისა და გულისა, რომელიც დრამას საგნადა აქვს და რომლის თვალ წინ ცხოველად წარმოდგენა ასე თუ ისე არყევს ხოლმე მაყურებელს და მთელს აგებულებას შეუძრავს ან სიხარულით, ან მწუხარებით, ან სიყვარულით, ან მძულვარებით.

ჩვენ კარგნი ვართ, ისინი-კი მხეცები და აფთრები არიანო, ეს გრძნობის ჭეშმარიტს გზაზე დაყენება-კი არ არის, გრძნობის წაწყმედაა, გატყუებაა, დაბრმავებაა, ეგ ცეცხლია ჩალაში გაჩენილი, რომელიც აპრიალების უმალვე ჩაქრება და ხელში მარტო ფერფლი გვრჩება და ჰაერში ნატისუსალი. ყალბად და, მაშასადამე, უქმად აპრიალებულ გრძნობაზე უსაძაგლესი არ არის-რა ქვეყანაზე და მით უფრო მოსარიდებელია, რომ წამტყუებელია, მაცდურია ყოველ გაუწურთნავ და გონება-გაუხსნელ კაცისათვის.

რა თქმა უნდა, რომ ორსავე დრამაში ქართველებს გააქვთ გამარჯვების ბურთი მოედნიდამ. ერთსაცა და მეორეშიაც მოსეული მტერი არის დამარცხებული და გამარჯვებას გადაჩვეული ეხლანდელი ქართველი, ამას რო ჰხედავს, აღტაცებაში მოდის. მართლა რომ ვსთქვათ, სწორედ ამ ავტორებისაგან შეთხზულს გამარჯვებაში უნდა ვეძიოთ მიზეზი ტაშის ცემისა წარმოდგენის დროს და არა თვითონ დრამების ღირსებაში. ეს ამისთანა აღტაცება იგივ აპრიალებული ჩალაა. ამისთანა აღტაცება ისე ჰგავს ჭეშმარიტს აღტაცებას, როგორც მართალი სიცილი იმ სიცილს, რომელსაც კაცი კაცს ღიტინით განგებ მოჰგვრის ხოლმე მაშინაც, როცა კაცს სულაც არ ეცინება, როცა სასაცილო არ არის-რა. ესეთი ფესვ-გაუდგმელი, გულთ ჩაურჩენელი, ესეთი ტყუილი აღტაცება გროშადაც არა ღირს, და უფრო მავნებელია, ვიდრე მარგებელი თუმცა, წამცდენია-კი იმისათვის, ვისაც არ ეთაკილება ადვილად მომკოს ის, რაც არ უხნავს და არ უთესნია. აქ გრძნობის აღფრთოვანება-კი არ არის, რომ ადამიანი თავის ადგილიდამ მისძრას-მოსძრას სამოქმედოდ, ექედ იქით მიახედოს ფხიზელის თვალით, გული ჭეშმარიტის ცრემლით აუტიროს, ან ყოვლთ მომქმედის სიხარულით, სიყვარულით გაუძლიეროს, გაუღონიეროს. აქ მარტო უქმი აპრიალებაა ყალბის გრძნობისა, უღონო, უთავბოლო და ხან მოკლე. აქ ახოვანი ძახილი-კი არ არის სულთა ბრძვისა, გულის ჭიდილისა, არამედ წრიპინია, წუწუნია ცუდ-უბრალო მტირალასი. ორსავე დრამას ის ერთგვარი და ერთ-სახის ნაკლულევანება აქვს, რომ გაანგარიშებულია გარეგან ზიზილ-პიპილებით კაცს თავი მოაწონოს და ტაშის ცემა გამოიწვიოს.

ეს მით უფრო სამწუხაროა შესახებ ბ-ნ ცაგარლისა, რომ იგი ცნობილი მწერალია. ავტორი „ქართვლის დედისა“ დღეს აქამომდე გვაჩუქებდა ხოლმე პიესებს, ცოცხლად ამოღებულს აწმყოფის ცხოვრებიდამ. ამ პიესებს საგნადა ჰქონდა სურათები დღევანდელის ცხოვრებისა და ამ გზაზედ ბ-ნს ცაგარელს ჩვენში ჯერ წინ ვერავინ წასწრებია. აქ ბ-ნ ცაგარელს უცილობელი სახელი აქვს მოპოვებული და ცოტად თუ ბევრად ღირებულადაც. ჩვენდა სამწუხაროდ ვერ ვიტყვით, რომ მისმა დრამამ „ქართვლის დედამ“ ამ სახელს შეჰმატოს რამ.

არ ვიცით,—რამოდენად ჰგავს ეს დრამა მის პირველსახე დედანს, საიდამაც ავტორს იგი აუღია და გადმოუკეთებია. ხოლო თვითონ გადმოკეთებულზე-კი ვიტყვით, რომ მთელს ოთხს მოქმედებაში, ჩვენის ფიქრით, დრამა თითქმის არსად არის. თვით „დედა“, თავი და თავი მომქმედი დრამისა, ისეა გამოსახული თითქო მეტ-ხორცია დრამისაო და სრულადაც გამოკლებულ რომ იყოს, პიესას თითქმის არა დააკლდება-რა. ამასთან ეს „ქართვლის დედა“ რაღაც უგრძნობელი და გულ-ქვავი რამ არის. დედა-შვილურს გრძნობას, აგრე მოსალოდნელს, აგრე სასურველსა და საპატიოს, მის გულში არავითარი ადგილი არ უჭირავს. ამიტომაც მის მიერ შვილთა მამულისათვის გაწირვას არავითარი ფასი არა აქვს. გაწირვა მაშინ არის დიდ სულღოვნობის საქმე, როცა გამწირველი თვითონ დიდს რასმე ჰკარგავს ამით, როცა ვხედავთ, რომ ამ გაწირვამ გულში ერთი უმთავრესი ძარღვი ჩასწყვიტა გამწირველსა, ერთი დიდი რამ დააკლო, ძნელად გასაწირი, ძნელად გასამეტებელი, ძნელად დასათმობი ადამიანისაგან. ამ შემთხვევაში გულთა ჭიდილი დედისა უნდა გამართულიყო დედა-შვილურ და მამულის შვილურ სიყვარულისა გამო, რომელნიც ამ დრამაში ერთმანეთს შეჰხვდნენ ისე, რომ ან ერთი უნდა გაიწიროს, ან მეორე. ორივე სიყვარული კანონიერია, ბუნებურია და მით ორივე დიდს გრძნობას წარმოადგენს ადამიანის ბუნებაში, ძნელად გასაწირს, ძნელად გასამეტებელს და რამოდენად ან ერთი, ან მეორე ძნელად გასაწირია, ძნელად გასამეტებელი, იმოდენად თვით გაწირვა, დიდია, საპატიო და სახელოვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურებთ შენ მიერ უპატრონოდ დატოვებულს ქვრივ-ობოლს, იმოდენად სულის ტანჯვა და გულ წრფელი შენდა სიყვარული და პატივის ცემა გეორკეცდება. მართლა უზომოდ საყვარელი და პატივსაცემი შეიქმენ ჩვენის საზოგადოებისათვის, თუმცა შედარებით დიდი ხანი არ დაგეყო ამ შევიწროვებულს მხარეში. შენ სხვა უცხოებსავით არ გეზიზღებოდით; არ გსურდა ჩვენი დამცირება და მიწასთან გასწორება; ჩვენს უბრყვილო გულს საკმაოდ დაახლოვებოდი; ჩვენის მდგომარეობის სურათს და ჩვენდა თანაგრძნობას ერთი უპირველესი ადგილი ეჭირა შენს უმანკო გულში და ყოველს პატიოსანს ღონის-ძიებას ჰხმარობდი ჩვენს საკეთილდღეოდ!.. ბევრს აქაურს, არამც თუ შენთან საქმე არა ჰქონია, არამედ არც-კი უნახევხარ, მაგრამ შენი მართლ-მსაჯულების ამბავი უკვე ბევრ გზის სმენია, და შორიდან მადლობას გწირავდა. რომ ღმერთს შენი დღეგრძელობა ენება და უწყალო სიკვდილს შენი კეთილი შრომა არ შეჰშურებოდა, მართლა თვალ-საჩინო სარგებლობას მოგვიტანდი და ბნელს ნათლით შეგვიცვლიდი, მაგრამ უბედურნიც იმითი ვართ, რომ კარგი და სასარგებლო ჩვენ არა გვრჩება-რა!.. ბრალი თქვენი, ამის საცოდავო ცოლ-შვილნო, რომელთაც სამუდამოდ გაგიქრათ ერთად-ერთი ცხოვრების გზაზედ მანათებელი ლამპარი, და დღეს იქით სხვის კარზედ უნდა ტრიალობდნენ უგზო-უკვლოდ, ღვთის ანაბარა!.. ბრალი ჩვენი, რომელთაც დავკარგეთ შენისთანა სათნო ადამიანი, თორემ შენ, პატიოსანო, იმ სოფელშიაც ნეტარ იქმნები!.. მშვიდობით, ჩვენო დაუვიწყარო, პატიოსანო მუშაკო!.. საუკუნოდ იყოს ამიერ ხსენება შენი!.."

შემდეგ მიცვალებულის გვამი გამოასვენეს ეკკლესიიდგან და დაასაფლავეს იქვე ეკკლესიის გალავანში...

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ განსვენებულს დარჩა ცოლი, განათლებული, ერთ ხანად მასწავლებლად ნამყოფი და ორი ქალი: ერთი ქუთაისის დედათა გიმნაზიის მესამე კლასის შეგირდი, და მეორე ხუთისა თუ ექვსის წლისა; ერთიც ვაჟი, პირველს კლასში ეგზამენის დასაჭერად უკვე მომზადებული. ზემოხსენებულს ქვრივს განსვენებულის ზავადოვსკისას, თუმც ჯერ ყოვლად უსახსროდ არის, უკვე უთხოვნია სასულიერო მთავრობისათვის, და, როგორც გვესმის, იმედიც მიუღია ქუთაისში ახლად დაარსებულს სასულიერო დედათა სკოლაში ადგილის შოვნისა...

როგორც ყოველს შემთხვევაში, ამ საქმეშიაც სრული იმედი გვაქვს, რომ ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, დიდს შემწეობას აღმოუჩენს საცოდავს ქვრივს და დაიხსნის მის წვრილ ობლებს უკიდურესობისაგან!..

აცანელი

◆◆

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა განუცხადო დაბა ყვირილაში მცხოვრებს ბ-ნს ნიკოლოზ ბესარიონის ძეს ლოლობერიძეს, რომელმაც შემოსწირა ჩემდა რწმუნებულს სკოლას ერთი კლასის დაფა და ერთი ღუმელი, ღირებული 20 მანათად.

სულითა და გულით გვსურს სკოლასთან დავაარსოთ ბიბლიოთეკაც (წიგნთ-საცავი) და იმედია, რომ ჩვენი საზოგადოება გულ-გრილობას არ გამოიჩენს და ამ კეთილის განზრახვის განხორციელებისთვის, მცირეოდენს შემწეობას მოგვცემს.

ს. დაბლა-საქარის საეკკლესიო სამრევლო სკოლის მასწავლებელი
იოსებ ნიკოლოოზის ძე ბარბაქაძე.
1890 წ. დეკემბრის 14 დღესა.

◆◆

წვრილი ამბები

5 დეკემბერს პარიჟში სასამართლომ დაიწყო გარჩევა ეიროსი და ქალის გაბრიელლ ბომპარის საქმისა. ჯერ წაკითხულ იქმნა საბრალდებულო ოქმი, რომელსაც ბომპარი ტირილით უკდებდა ყურსა და შემდეგ 60-მდე მოწმეები ამოიკითხეს. ბრალმდებელად იყო უფროსი ბრალმდებელი კენედე-ბორეპერი. დამნაშავეთ იცავდნენ ახალგაზდა ვექილები ანრი რობერტი და ფელიქს დეკარი. მოჩივართა მხრივ ვექილად იყო ალბერტი დონე.

დაითხოვეს სასამართლოს დარბაზიდგან ბომპარი და ჯერ ეიროს დაუწყო გამოკითხვა სასამართლოს თავმჯდომარემ: თქვენ 47 წლისა ხართ, სამართალში არას დროს არა ყოფილხართ ჩავარდნილი, მაგრამ უზნეო, გარყვნილი კაცი-კი ბრძანდებით. თუმცა ცოლი გყავთ, მაგრამ მაინც სხვა-და-სხვა საყვარელი გაიჩინეთ და 40,000 ფრანკი ზედ გადააგეთ, მექსიკელების ომში მონაწილეობდით, მაგრამ შეშინდით და გაიპარეთ. როცა არეულობა გათავდა და დამნაშავეებს აპატიეს, საფრანგეთში დაბრუნდით და სხვა-და-სხვა ალებ-მიცემობა დაიწყეთ, ბევრი იმოგზაურეთ აქეთ-იქით, მაგრამ საქმე ძლიერ ცუდათ მიგდიოდათ, ასე რომ უკანასკნელს დროს ცხოვრებაც-კი გაგიჭირდათ. რაც შეეხება თქვენს ზნეობას, გიმეორებთ, რომ ძლიერ გარყვნილი ხართ. შინ ოჯახი გყავდათ და თქვენ-კი პატარა მოშორებით თქვენის სახლიდგან გუფფესა და რემმი ლეონესთან ქეიფობდით. დღე არ გავიდოდა, რომ ახალი ქალი ვინმე არ გაგეცნოთ და არ გადაჰკიდებოდით. 1888 წლის დამდეგს გაიცანით ბომპარი. თქვენის სიტყვით, ის თითონ გადაგეკიდათ ბულვაზე, მაგრამ ის-კი ამბობს, რომ გაზეთში გამოგიცხადებიათ, კანტორაში ქალი მინდაო, და იმიტომ მოსულა თქვენთან. პატარახანს უკან ბომპარი თქვენი საყვარელი გახდა. ეს ქალი მშობლებს გამოექცა, პარიჟში თქვენის წყალობით ძლიერ მალე გაირყვნა და ისეთს უწმაწურს ლაპარაკს მიეჩვია, რომ იმის გვერდით პატიოსანს კაცს არ გაევლება: ბევრის ქალისთვის უჭმევია სირცხვილი თავისის უზდელობითა და გარყვნილობით. ბომპარს ბევრი სხვა საყვარელი ჰყავდა, ეს თქვენც იცოდით, მაგრამ ყურს იყრუებდით სარგებლობის გულისთვის"...

აქ ეირომ ლაპარაკი გააწყვეტინა თავმჯდომარეს და უთხრა, მე ყველაფერს მაგაში თავს გავიმართლებო. „როგორ! შეჰყვირა თავმჯდომარემ—განა თქვენ არ იღებდით ჯიბეში იმ ფულებს, რაც ბომპარს მშობლებისაგან მოსდიოდა, და განა თქვენ არ უგირავებდით კასებში ოქრო-ვერცხლის ნივთებს?—ეგ სულ ტყუილია და ცილის წამება, პირ იქით მე თითონ ყოველთვე 600 ფრანკს ვაძლევდი ბომპარს.—ისეთი ქალებიც გახლავან, რომლებიც თთვეში 600 ფრანკზე მეტსა ჰხარჯავენ და ბომპარიც სწორედ ისეთივეა. აკი ერთხელ გითხრათ კიდეც: „ვიღაც ჩაჩანაკი მეკურკურება და 50,000 ფრანკსა მპირდებაო" და თქვენ უპასუხეთ: „ძლიერ კარგი! ერთად ვიქეიფებთო". ეირომ უპასუხა, ეგ მართალია, მაგრამ ვხუმრობდითო.

ამას შემდეგ თვით ჩადენილის ავაზაკობის გამო დაუწყო გამოკითხვა თავმჯდომარემ. 1889 წელს ივლისში, ეირო ლონდონში იყო, რაღაც აქციები უნდა გაესაღებინა. ამ დროს უკვე ბევრგანა ჰქონდა საქმე წახდენილი, ბევრი რამ ჰქონდა ჩადენილი და ეშინოდა, საჩივრები არა ამიტეხონ-რა სასამართლოებშიო. ბომპარიც, რომელიც ლევალლუა-პერეში დასტოვა, ინგლისში მივიდა და პირველად მაშინ მოისაზრეს, მოეკლათ ვინმე და ფული ეშოვნათ—გუფფესი ჯერ ხსენებაც არა ყოფილა. თავმჯდომარემ ჰკითხა, პირველად ვინა სთქვა თქვენში კაცის მოკვლაო და ეირომ შემდეგი უპასუხა:

„ბომპარმაო. მე გავგიცხე კიდეც. ბომპარმა მითხრა, ვიღამაც კაცმა შემიყვარა და იმის მოკვლაზე ადვილი არაფერია, თუ გვინდა რომ ფული ვიგდოთ ხელშიო. მე ვუპასუხე, ეგ არ შეიძლება, ტყუილი გიფიქრნია-მეთქი, მაგრამ ის ისევ თავისას გაიძახოდა: „გეტყობა აღარ გიყვარვარ, თორემ შენ ხომ ცალი ფულიც არა გაქვს და ფულით-კი ორივენი კარგად ვიცხოვრებთო. ერთს განცალკევებულს სადგომს დავიჭერ სადმე მიწის სართულში, შევიტყუებ ჩემს მორშიყეს, შენც დანიშნულს დროზე მოხვალ და 100,000 ფრანკის თამასუქზე მოაწერინებ ხელსა. ეს ფული კარგად გვეყოფა და მეც იძულებული აღარ ვიქნები, აქეთ იქით სხვებთან ვიხეტიალოვო". ბოლოს მეც დავთანხმდი. ბომპარმ კიდეც დაიჭირა სახლი. წავედით, ვიყიდეთ წვრილი თოკი, რომ შეგვეკრა, თუ ის კაცი გაგვიძალიანდებოდა, ერთი ჩემოდანიც, რომ შიგ ჩაგვედო მკვდარი, ვინიცობაა შემოგვაკვდებოდა, ზოგიც კიდევ სხვა რამე და ბომპარი პარიჟში წამოვიდა. 24 ივლისს მეც მივედი, გავსინჯე ახლად დაჭერილი სახლი და უხერხულად გვეჩვენა. ამიტომ სხვა სახლი დავიჭირეთ. ბომპარმა ექვსი ადლი ტილო იყიდა და ტომარა ამოკერა მკვდრის ჩასადებად. ჯერ ერთი მებრილიანტე ჰყავდა მხედველობაში ბომპარს, მაგრამ რადგან ის მაშინ პარიჟში არ იყო, გუფფეზე-ღა დადგა საქმე. „შენი მეგობარი გუფფე ძლიერ მდიდარიაო, მითხრა ერთხელ ბომპარმა: ქალებს ბევრს ფულს აჭმევსო". რემმი ლეონესთანაც

„ქართლის დედა" ამ შემთხვევაში ავტორმა დაგვიყენა იმ სადრამო განსაცდელ გარედ, საცა ძლიერს გრძნობას დედა-შვილურ სიყვარულისას წინ წარმოუდგა თუ არ მეტი, არა ნაკლებ ძლიერი გრძნობა მამულის-შვილურ სიყვარულისა და ეუბნება: იქ შვილის დედა უნდა დაჩუმდეს, უნდა გაიწიროს, საცა ქართლის დედა უნდა ჰლაპარაკობდეს და მოქმედებდეს... მე ამას ვითხოვ და აბა რას იტყვი, მე თუ შენ? ორში რომელს ჰრჩეობ? აი განსაცდელიც ორთავ გრძნობისა აქ ამ საკითხავშია, ამის პასუხშია. ხოლო ავტორს არ მოუნებებია გმირი ქალი დრამისა ამ ორ დიდთა გრძნობათა ქარ-ტეხილის ქვეშ გაეტარებია ჩვენ თვალ-წინ და ამ გრძნობათა ჭიდილში ეჩვენებინა დიდ-სულოვნობა და ადამიანობა დედისა. დედა სცენაზე შემოდის წინადვე გადაწყვეტილის აზრით და გვარწმუნებს, რომ მე ჩემის ქვეყნისათვის გავზარდე ჩემი ხუთი შვილი, საქართველოსათვის ვაწოვე ჩემი ძუძუო და სხვა არაფერი აინუნში აღარ მოსდის, თითქო დედა შვილური სიყვარული ისე ცოტა რამ იყოს, რომ უომრად, უბრძოლველად ლაჩარსავით დაჰნებდეს, თუნდ იმისთანა დიდ-პატიოსანსა და დიდ-მშვენიერს გრძნობას, როგორიც მამულის შვილური სიყვარულია.

არც ის მოქმედობს მაყურებელზე სასიამოვნოდ, რომ „დედა" საცა გინდა და არ გინდა წამ და უწუმ გაიძახის—ხუთ ჩემი შვილები ჩემის მამულისათვის გამიზრდიაო. ერთხელ ამისი თქმაც მეტია, იმიტომ-რომ ეგ უნდა გვაუწყოს მისმა მოქმედებამ, მისმა საქმემ და არა მისმა სიტყვამ, რომელიც ამ შემთხვევაში უფრო ბაქიაობას მოასწავებს, ვიდრე საქმესა. ხოლო რამდენჯერმე განმეორება, ამისი ყოვლად შეუწყნარებელია და დედის მიერ წამ და უწუმ ამისი თქმა ისე მოქმედობს მსმენელზე, თითქო გვამუნათებს და გვაყვედრის, რომ ჩვენთვის ამისთანა სიკეთე გაუწევია. დამუნათებული, წაყვედრებული კეთილი, ჩვენის ფიქრით ბოროტზე უარესია და უმძიმესი ასატანად.

სხვა დანარჩენნი მოქმედნი არაფერს გულის საგრძნობელს არას წარმოადგენენ. ხუთს მამულისათვის გაწირულს შვილს პირველ მოქმედებიდამვე კაცი უგულოდ ადევნებს გულის-ყურსა. იმიტომ რომ წინადვე ვიცით ვის რა კაცობის ბილეთი აკრავს შუბლზე ავტორისაგან. შემოდიან თუ არა ხუთნივ ერთად სცენაზე, ჯერ დედა ქებულობს თავს იმითი, რომ ჰა, იცოდეთ მამულისათვის გაგზარდეთო და მერე შვილები მოგვითხრობენ ვის რა კაცობა დააწერა შუბლზე ავტორმა წინადვე. ხოლო ერთი ვახტანგია, უმცროსი შვილი, რომელსაც უფროსმა ძმამ ჯასუსობა დაავალა, წადი, შეეტყუე მტერსა და იმათი ამბავი გვიზიდეო. ყმაწვილი კაცი ამისთანა ხელობას ჰთაკილობს და არა ჰნდომობს. დედა უჯავრდება, ბოლოს ახდევინებს ურჩობისათვის და ისიც ჰნებდება წილად ხდომილს ბედსა. ეს სცენა ცოტა რამ გულ-მოსახვედრია, ცოტა რამ საგრძნობელი, ხოლო მეტად ხელ-და-ხელ გატარებულია. ჩვენის ფიქრით მეტი არ იქნებოდა, რომ ამ მართლადა ვაჟკაცისათვის სათაკილო ხელობის ავ-კარგიანობაზე ცოტა დიდხანს შეეჩერებინა ავტორს ყურადღება მაყურებელისა და დაენახვებინა-რა აუცილებელმა გაჭირებამ, რა სხვა უმაღლესმა გრძნობამ გააწირვინა ან დედას, ან შვილს ნამუსი ვაჟკაცობისა. მაშინ ჩვენც ხელში საწყაო გვექნებოდა იმის გამოსარკვევად თუ,—რა მსხვერპლი მოიტანა ან დედამ რომ ვაჟკაცისათვის უკადრისი საქმე აკისრა შვილსა, ან შვილმა რომ სათაკილო კისრად იდვა და დედის ბძანებას დაუდუმდა.

უამისობაა მიზეზი, რომ მაყურებელს ვერ გამოურკვევია-რა აწუხებს და ჰქენჯნის ვახტანგსა, როცა იგი მტრის ბანაკშია და ხელში დაჭრილი გამოდის სცენაზე. იგი ჰკვნესის, ოხრავს, მტკივნეულობს, რაღასაცა სწუხს, და ვაობს და ვერავის-კი გამოუცენია მისი ტკივილი გულისა. მაყურებელს ჯერა ჰგონია, რომ უსათუოდ ის აწუხებს, რომ იგი მტრის ბანაკში ჯასუსობას უნდება, როცა მისი ძმები და მახლობელნი მტერს ებრძვიან გულ და გულ. მერე, როცა უსუფ-ფაშის ქალი გამოდის სცენაზე და ვახტანგს შეეყრება, მართო მაშინ ვტყობულობთ, რომ ამათ ერთმანეთი უყვართ და თითო-ოროლა ფრაზა ვახტანგისა გვაუწყებს, რომ მას ემძიმება საყვარელ ქალთან ალერსი და ნებივრობა მაშინ, როცა მისნი მოძმენი ომში იხოცებიან. ხოლო ეს კვნესავება ვახტანგისა ორსავე შემთხვევაში ისე გამოუხსნელი და გამოუშლელია, რომ მაყურებელი თეატრიდამ გამოდის და მაინც არ იცის ორში ერთი რომელი აწუხებდა და აკვნესებდა ვახტანგსა.

თუ გაჭირდა, შეიძლება კაცმა სთქვას, რომ ერთად-ერთი სადრამო მდგომარეობა უსუფ-ფაშის ყოფაა, იმიტომ-რომ მარტო ამ კაცში ვხედავთ გრძნობათა ცოტა ოდენს ჭიდილსა, თვით დრამის მიმოსვლით მოვლენილსა და არა ავტორისაგან განგებ ჩაკერებულსა. ამ კაცში, მხეცობასთან ერთად თითქო სახელის მოპოვების სურვილსაც ვპოულობთ და მამაშვილურ სიყვარულსაცა და ამ მხრით ცოტად თუ ბევრად ადამიანად გვეხატება თვალწინ და აქ თითქო იმას ცდაც არის ავტორის მიერ, რომ ეს სურვილი და მამაშვილური სიყვარული ერთმანეთს შესჭიდოს. დაღალული გულის-ყური მსმენელისა ამ გაკვრით გამოსახულს ჭიდილზე ცოტა ოდნად ფხიზლდება, ჰცოცხლდება. სხვაგან ყველგან, თუნდ ვახტანგისა და უსუფ-ფაშის ქალის ერთმანეთზე დამოკიდებულება რომ ავიღოთ, ან ვახტანგის საწამებლად თავის გამომეტება. ან დედისაგან გაწირვა ვახტანგისა, რომ ნაძრახ სიცოცხლეს, მტრისაგან ჩუქებულს, სახელოვანი სიკვდილი წამებულისა ირჩიოს—ყოველს ამაში წუწუნს მტირალა ადამიანისას უფრო ვხედავთ, ვიდრე აფორიაქებულ გრძნობათა გრიალ-ქროლვას, ვიდრე თავის ბუდიდამ დაძრულ გულის ქარ-ცეცხლსა. ეგ იმიტომ-რომ გული დრამისა ფუჭია და მარტო გარეთი კანი, ნაჭუჭი ზედ წარწერებით არის აჭრელებული. გული დრამისა უნდა გამოხსნას თითოეულმა სცენამ, თითოეულმა მოქმედმა ისე როგორც გორგალი ძაფის წვერმა და საცა ეგ გორგალი არ არის, ან ავტორს არ დაუხვევია, იქ ამაოა ძაფების ტყუილ-უბრალო ცოდილობა, წევა და გრეხა. შინაგანი ძალი დრამისა უნდა გამომეტყველებდეს გარედ და არა ავტორი შიგ ჩასძახოდეს გარედამ. ჩვენის ავტორების საერთო ნაკლულოვანება ეს არის და ეს ისეთი ნაკლულევანებაა, რომ იგი და დრამა ერთმანეთში ვერ მოთავსდება, როგორც ცეცხლი და წყალი.

ერთობ დრამა „ქართლის დედა", როგორც ხელოვნური თხზულება, ანგარიშში ჩასაგდები არ არის, თუმცა იგი მაყურებელთაგან მოწონებულ იქმნა იმოდენად, რომ ავტორი, რომ გამოვიდა, ხელში აიყვანეს და ისე ჩააცილეს კიბეებს. ეს პატივი ბ-ნ ცაგარლისათვის მეტი არ არის, იმიტომ-რომ კარგა სამსახური მიუძღვის ჩვენის სცენის წინაშე, და ამ სამსახურისათვის ჩვენც სხვასთან ერთად სიხარულით ტაშს ვუკრავთ. ხოლო ამ სიხარულის და ტაშის გამოწვევაში, „ქართლის დედა"-ს გრძნობა სამართლიანობისა არავითარს მონაწილეობას არ აკუთნებს, ჩვენის ფიქრით.

ვიკითხეთ გუფფაზე, ჰქონდა რამ შეძლება თუ არა, 26 ივლისს შევხვდი ლეონეს და ვუთხარ, ფულს ვერ მასესხებს-მეთქი გუფფა? ნახევარ მილიონზე მეტი აქვს, მაგრამ გასესხებაზე-კი ძლიერ ხელმოჭერილიაო. რაკი ეს შევიტყე, მეც სამზადისს შევუდექ: ვიყიდე ლურსმანებიც, თოკიც, მავთულებიც და 27 ივლისს დავაპირეთ გუფფას მოკვლა. იმ დღეს ბომპარი კანტორას წინ დაუხვდა გუფფას და უთხრა, საღამოს 8 საათზე მოდიო, თანაც დაარწმუნა, რომ ვითომ მე წამეჩხუბა და გამეყარა კიდეც. მთელი დღე სულ სამზადისში ვიყავით. მე ფარდას უკან დავიმალე. ცხრის ნახევარზე მოვიდა გუფფა და კარები დაარაკუნა. ბომპარმა გაუღო და შემოიყვანა. „რა კარგი ბინა გიშოვნიაო, სთქვა გუფფამ შემოსვლისათანავე. „კიო", უპასუხა ბომპარმა: ჩემთვის მეუდროდა ვარ, ჩემმა საყვარელმა არც-კი იცის ჩემის სახლის გზა, საშინლად გაბრაზებული ვარ იმაზე, თავა მომაბეზრა კალებითაო. ორივენი ტახტზედ ჩამოსხდნენ ერთად. გუფფამ კოცნა დაუწყო, ბომპარს წელზე ბაწარი ეკრა, იმას ხელი მოჰკიდა და უთხრა, რა კარგი ქამარიაო. ბომპარმა შემოიხსნა, კისერზე გადააგდო და ღიმილით უთხრა, ყელსახვევადაც კარგიაო. მე ვიფიქრე, ეგ არის გუფფა ხელში გვყავს-მეთქი, გამოვხტი ფარდის უკანიდგან, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, ბომპარს კიდეც დაურჩო გუფფა. საშინლად შევშინდა, დავუწყეთ მოსულიერება, მაგრამ ვეღარას გავხდით. გავუჩხრიკეთ ჯიბეები და მხოლოდ ორი ბანკის ბილეთი ვიპოვნეთ— ერთი 100 ფრანკიანი და მეორე 50-ანი. ჯიბიდგანვე ერთი ასხმულა გასაღებები ამოვაცალეთ. ვთქვი, კანტორაში ექნება ფული შენახული, წავალ გავაღებ, ამოვიღებ-მეთქი, მაგრამ მთელი კანტორა გადავჩხრიკე და ცალი ფულიც ვერსად ვიპოვნე. გამოვბრუნდი ისევ შინისკენ, მკვდარი უნდა ჩამედო ტომარაში, მოვაბი თოკი, გადავაგდე კედელზე მიმაგრებულს გორგოლაჭზე, დავეჭიდე მაღლა ასაწევად, რომ კარგად მომეთავსებინა ტომარაში, მაგრამ ვერ დავძარ. „მგონი კიდევ ცოცხალიაო, წამოიძახა ბომპარმა: თითქოს თვალები გაახილაო". ამის გამო ხელ მეორედ წავუჭირეთ თოკი და დავარჩეთ (ხალხში ლაპარაკი ისმის). სტოლზე რაღაც საჭმელი და შამპანიური ღვინო იდგა, მთელი ბოთლი გამოვცალე, ღონეზე მოვედი, შევისვენე და ისე ჩავდე გუფფა ტომარაში. პატარახანს უკან ტომარა ჩემოდანში ჩავდეთ, სამზარეულოში გავიტანეთ და დავწექით კიდეც. მთელი ღამე მკვდარსავით მეძინა (ხალხში კიდევ ლაპარაკი ისმის).

(შემდეგი იქნება)

◆◆

პეტერბურგის ბირჟა, 11 დეკემბერი.

	მყიდველნი იძლ.	გამყიდველნი ითხოვ.	გაყიდულია.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო .	7 „	7 03	— „
ტამოჟნის კუპონები . .	$14^{1}/_{2}$	141	— „
მანეთიანი ვერცხლის ფული.	1 07	1 10	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	239
—მეორისა	— „	— „	$218^{1}/_{2}$
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი	— „	— „	$211^{3}/_{4}$
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა . .	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . .	— „	— „	—

განცხადებანი

ნუსხა

ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნაურო ბანკის

გირავნობის ფურცელთა,

გამოსულთა მეოც-და-რვე ტირაჟში, რომელიც მოხდა

12 ნოემბერს 1890 წლისას,

რიცხვით 80 800 მანათისა

ა) $43^{1}/_{2}$ წლის ვადით:

100 მანათის ღირსებისა

2 სერიისა . . . . №№ 15, 21 და 30.
3 „ . . . . „ „ 47, 51 და 55.
4 „ . . . . „ „ 4 და 5.
6 „ . . . . „ „ 109, 111, 114, 116, 117.
7 „ . . . . „ „ 41, 42 43 და 44.
შემდეგის სერიებისა . . . . . „ „ 1078, 1079, 1254, 1255, 1256, 1277, 1289, 1350, 1451, 1479, 1538, 1539 და 1610.

500 მან. ღირსებისა

3 სერიისა. . . . . № 97.
5 „ . . . . „ 46.
შემდეგის სერიებისა. . . № № 383 417, 424 და 444.

ბ) $18^{7}/_{12}$ წლის ვადით

100 მან. ღირსებისა

3 სერიისა . . . . . №№ 45, 50 და 53.
7 . . . . „ „ 160 161 და 162.
შემდეგის სერიებისა. . . „ 828, 829, 830, 833, 1012, 1015, 1019, 1020, 1021 1342, 1343, 1344, 1345, 1346, 1347, 1474, 1475, 1476, 1477, 1478, 1676, 1769, 1845 1846, 1847, 2057, 2058, 2059, 2483, 2484, 2485, 2542, 2543, 2544, 2736, 2737, 2738, 2747, 2780, 2781, 2857, 2858, 2859, 2860, 2873, 2874, 2875, 2876, 3032, 3033, 2034 და 3035.

500 მან. ღირსებისა

3 სერიისა . . . . №№ 48.
4 „ . . . . „ „ 8.
7 „ . . . . „ „ 80.
შემდეგის სერიებისა . . . . . „ „ 292, 302, 303, 377, 378, 453, 456, 563, 564, 617, 619, 679, 744, 800, 1025, 1026, 1169, 1180, 1279.

1000 მან. ღირსებისა

2 სერიისა . . . . . . № № 48 და 52.
3 „ . . . . „ „ 10.
4 „ . . . . „ „ 16.
7 „ . . . . „ „ 43 და 44.
შემდეგის სერიებისა . . „ „ 776, 777, 779, 781, 782, 785, 786, 787, 788, 789, 790 791, 792, 1040, 1041, 1042, 1196, 1198, 1200 1201, 1202, 1203, 1703, 1707, 1708, 1709, 1711, 1712, 1713 1714, 1715, 1716, 1718, 1719, 1720, 1721, 1722, 1724, 2239, 2240, 2241, 2242, 2243, 2244, 2576, 2578, 2579, 2580, 2581, 2582, 2584 და 2940.

სხოლიო:

1) ფულის მიღება გირავნობის ფურცლებზედ, რომელნიც ამ მეოც-და-რვე ტირაჟში გამოვიდნენ, და აგრეთვე მიმდინარე კუპონებზედ დაიწყება 1891 წლის 2 იანვრიდგან და შემდეგ ამავე ვადიდგან გაუქმებულ იქნება ზემოხსენებულს ფურცლებზე სარგებლის მიცემა.

2) გირავნობის ფურცლებს ფულის გადახდის დროს თან უნდა ჰქონდეს ყველა კუპონი იმ დროისა, რა დროც ზემოდ არის ნაჩვენები; თუ კუპონები სულ არ იქნება და დააკლდება, მაშინ დაკლებულ კუპონების ფასი გირავნობის ფურცელთა ღირებულ ფულიდგან გამოირიცხება.

3) ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლებზე და აგრეთვე ამ ფურცელთა კუპონებზე ფულის მიღება შეიძლება ქ. ქუთაისის ბანკის გამგეობაში, შეიძლება აგრეთვე ს.-პეტერბურგს სახელმწიფო ბანკსა და ვარშავში ბ-ნ ვაველბერგის საბანკირო სახლში და ამას გარდა სახელმწიფო ბანკის ყველა განყოფილებათა და კანტორებში.

4) ამ ნუსხაში ნაჩვენებია ნომრები მხოლოდ პირველის შვიდის სერიისა, რადგან ამ სერიების გირავნობის ფურცელთა ნომრები განცალკევებულია პირველიდგან დაწყებული შემდეგ სერიებში, რადგან დაწყებული სერიების ნომრები არ არის ნაჩვენები, რადგან ამ სერიების გირავნობის ფურცელთა ნომრები ერთიერთმანეთს მისდევს და, მაშასადამე არ განმეორდება.

ბანკის გამგეობა.

ჩემის ხარჯით

ვკისრულობ საქმეებს მამულების დაგირავებისას ყოველსავე ბანკში და აგრეთვე ახლად დაარსებულს სახელმწიფო სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკში. მსურველებს შეუძლიანთ მომმართონ ბარონის ქუჩაზე, მესხიევის ლიტოგრაფიაში, **პეტრე სვიმონის ძე გვერწითელს** და ალექს. სერგეის ძე პოლეტაევს.

(5—2)

„დასავლეთი"

ახალი რესტორანი, კურაზე, მზურნუთოვის სახლებში, ფოსტის სადგომის გვერდით.

რესტორანის სადგომი ახლად შეკეთებულია და თბილი. **საჭმელები** ევროპიული და ჩვენებური; საუკეთესო ბუფეტია. **სასმელები** ევროპიული და ჩვენებური.

სადილები დღიურად და თთვიურად შეიძლება თვითონ რესტორანში მიიღონ ან ბინაზე, შინ სახლში, წაიღონ. რესტორანში ცალკე ოთახებიცაა, მშვენიერად მორთული და მოწყობილი.

ფასები ყველაფრისა იაფია.

თავმდები ვართ, რომ ხორაგეული სუფთაა და ბუფეტი უნაკლულო.

ნ. ჩიკვაიძე და
ს. მელიძგაური

(40—11)

გამგეობა

ნიკოლსკის სამანუფაქტურო ამხანაგობისა

„საბა მოროზოვის, შვილი და ამხ."

აუწყებს ბ-ნთ მყიდველთ, რომ იმის სავაჭრო საწყობი რომელიც ქალაქ ბაქოშია წყლისპირის ქუჩაზე, კრასილნიკოვის სახლში, 1 იანვრიდგან პოლიციის ქუჩაზე გადავა მაკარ ივანეს ძის ერმიშევის სახლში და სთხოვს იქ მიჰმართონ ხოლმე ამხანაგობის ნაწარმოების მისაღებად. (4—3)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თთვით. . . .	10 მ.—კ.	6 თთვით . . .	6 მ.—კ.
11 „ . . .	9 „ 50 „	5 „ . . .	5 „ 25 „
10 „ . . .	8 „ 75 „	4 „ . . .	4 „ 70 „
9 „ . . .	8 „ — „	3 „ . . .	3 „ 50 „
8 „ . . .	7 „ 25 „	2 „ . . .	2 „ 50 „
7 „ . . .	6 „ 50 „	1 „ . . .	1 „ 75 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ , რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Доз. цен. Тифлсъ, 15-го Декабря 1890 г. Типо-Литографія К. I. Месхіева и С.А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. у. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე